ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 31

ქალაქი ქუთაისი 18 ნოემბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია
/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით,
უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 7 აგვისტოს №5/41856 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 12 ნოემბრის № 44-4425316133 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უვადოდ სარგებლობის უფლებით, გადაცემის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.01.22.795; ფართობი: 5 000კვ.მ.).

მუხლი 2. შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, თუ აღნიშნული უძრავი ქონება სარგებლობაში არ გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სახელმწიფოსაგან მოითხოვოს უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; საკადასტრო კოდი: № 03.01.22.795; ფართობი: 5 000კვ.მ.) დაბრუნება.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭიღვარია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 31
16 11 2025 წ.